ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ს და ს №2-18

W4476 29.12.2017

ქ. თბილისი **28 დეკემბერი, 2017 წ.**

ერთი მხრივ, **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,** შემდგომში წოდებული როგორც - „შემსყიდველი", წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე თევდორაძის სახით და მეორე მხრივ, **საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი,** შემდგომში წოდებული როგორც - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის, მამუკა ლიპარტელიანის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის (SMP170003110) საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

1.1. **ხელშეკრულების ობიექტი:** გამოკვლევის აქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენობის (შემდგომში „ობიექტი") დაცვის უზრუნველყოფა, (CPV 79713000 - დაცვის მომსახურება), ხელშეკრულების პირობების და მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. **ხელშეკრულების საგანი:** ქ.ქუთაისში, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე არსებულ ფართის, მასში განთავსებული მატერიალური ნივთების და შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ცოცხალი ძალით და ცეცხლსასროლი იარაღით, ხელშეკრულების პირობებისა და დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **25 200,00 (ოცდახუთი ათას ორასი)** ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

2.2 გასაწევი მომსახურების ერთი თვის ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N1-ით;

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომლის გადახდას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

3. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა, ადგილი და სხვა პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა:

3.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება **2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით,** ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული გრაფიკით.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილი:

3.2.1. ქ.ქუთაისი, ფალიაშვილის ქ. №33/ბასკეთის ქ.№2/ლერმონტოვის ქ.№1-ში მდებარე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფისი.

3.3. მომსახურების გაწევის სხვა პირობები:

3.3.1 მომსახურების განსახორციელებლად საჭირო სტრატეგია (საგუშაგოების განლაგება, საგუშაგოებზე თანამშრომელთა გადანაწილება და სხვა სპეციფიკური პირობები) დასაცავი ობიექტის თავისებურებათა გათვალისწინებით, განისაზღვრება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი გამოკვლევის აქტით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1 არ გაამჟღავნოს „შემსყიდველის" სამსახურებრივი საიდუმლოება;

4.1.2 "ობიექტის" სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით;

4.1.3 „პოლიციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

4.1.4 აანაზღაუროს დამდგარი ზიანი „მიმწოდებლის“ მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში; ქონებრივი ზიანის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის“ საბუღალტრო დოკუმენტაციას;

4.1.5 ,,შემსყიდველისათვის“ ფაქტიური ზიანის ანაზღაურებას ,,მიმწოდებელი“ მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

4.1.6 მომსახურების ობიექტზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს “შემსყიდველის” კუთვნილ ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის დაშვება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.1.7 დასაცავ ობიექტზე მიყენებული ზიანის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს შსს-ს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა.

4.2 „მიმწოდებლის“ პასუხისმგებლობა არ ვრცელდება

4.2.1 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში;

4.2.2 დასაცავ ობიექტში დატოვებულ თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე;

4.2.3 მატერიალურ ფასეულობების ქურდობით მიყენებულ ზიანზე, თუ ქურდობა ჩადენილია „შემსყიდველის“ მიერ „ობიექტის“ დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით;

4.2.4 იმ ობიექტების დაცვაზე, რომლებიც არ არის განსაზღვრული გამოკვლევის აქტით.

4.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია

4.3.1 განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და „მიმწოდებელთან“ ერთად იზრუნოს „ობიექტის“ დაცვის სრულყოფისათვის;

4.3.2 „ობიექტის“ მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში „დაცვის“ თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;

4.3.3 „მიმწოდებელს“ 5 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე“ მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: (მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.)

4.3.4 „მიმწოდებლის“ თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“;

5.ინსპექტირების პირობები

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამსახურის უფროსი.

6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო თვის 5 რიცხვისა.

6,2 მიღება-ჩაბარებაზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამსახურის უფროსი.

7.ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

7.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

7.1.2. ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 დაცვის მომსახურებაზე საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს მიმწოდებლის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

7.4 დაფინანსების წყარო: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

8.1. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების ვადის დარღვევის შემთხვევაში, „შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებელს" გადაუხადოს პირგასამტეხლო დაცვის მომსახურების ერთი თვის ღირებულების ოდენობით, პირგასამტეხლოს თაობაზე მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 14 საბანკო დღის განმავლობაში;

8.2 ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

10. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.

11.სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ დავა, რომელიც წარმოქმნება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, მხარეს შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

12.1.1. ერთ-ერთი მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებითი დარღვევის, სისტემატიური შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

12.1.2. მხარეთა ურთერთშეთანხმებით.

12.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, „შემსყიდველი" ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ერთი თვით ადრე წერილობითი ფორმით აცნობოს "მიმწოდებელს".

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.**

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია **ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი _ შემსყიდველს.**

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,
ს/კ #211343982,
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #12,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: #220101222,
ა/ა #200122900

თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე თევდორაძე

_____

„მიმწოდებელი"
შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
ს/კ 211350928
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე_11 კმ
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707117042

დაცვის ორგანიზაციის
სამმართველოს უფროსი
მამუკა ლიპარტელიანი

_____

დანართი 1

N	ობიექტის დასახელება	დანაყოფი	რეჟიმი	პოლიციელთა თანამდებობა	რაოდენობა	ერთ თანამშრომელზე გადასახდელი თანხა	ერთ თვეში გადასახდელი თანხა	გადასახდელი თანხა
##	ქ. ქუთაისი, ფალიაშვილისN33/ბ ასკეთის ქ.N2/ლერმონტოვის ქ.N1	ქ. ქუთაისის დპ ქვეგანყოფილება	სამუშაო დღეებში 10:00-18:00 საათამდე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა.	უფროსი ინსპექტორი	1	1,200.00	1,200.00	3,600.00
			ყოველდღიურად 24 საათი	უმცროსი ინსპექტორი	9	800.00	7,200.00	21,600.00
ჯამი								25,200.00

„შემსყიდველი“
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,
თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე თევდორაძე

„მიმწოდებელი“
შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

დაცვის ორგანიზაციის
სამმართველოს უფროსი
მამუკა ლიპარტელიანი